



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #35

2015 წელი 24 აპრილი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ქ. დუშეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე (ყოფილი სტალინის 27) მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.51.02.036) პირველ სართულზე, მარჯვენა ფლიგელში მდებარე 12 კვ.მ. (ერთი ოთახი) საოფისე ფართის ფიზიკურ პირ მარიამ კარიაულისათვის სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ფ/პ მარიამ კარიაულს (პ/ნ 16001001327) სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - ქ. დუშეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე (ყოფილი სტალინის 27) მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.51.02.036) პირველ სართულზე, მარჯვენა ფლიგელში მდებარე 12 კვ.მ. (ერთი ოთახი) საოფისე ფართი.
2. მარიამ კარიაულის მიერ წელიწადში გადასახდელი ქირის ოდენობა განისაზღვროს 420 ლარით.
3. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი